



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

**დისციპლინური საქმე №285/18  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

---, --- და --- 2018 წლის 22 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 დეკემბრის №222/285-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 25 იანვარს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

1.1. საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლემ 2018 წლის 9 ნოემბერს მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ განჩინება. საჩივრის ავტორების განმარტებით, მიუხედავად კანონის მოთხოვნისა, რომ გასაჩივრებული განჩინება არ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას მოსამართლემ განჩინების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმავე დღეს გამოსცა სააღსრულებო ფურცელი და გადასცა მოპასუხე მხარეს, რითაც მოსამართლემ ხელი შეუწყო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში.

1.2. საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელი სასამართლოსგან ითხოვდა ანგარიშის ჩაბარებას თუ რა სტადიაშია --- საქმე. მითითებული ფაქტი საჩივრის ავტორებს უჩენს ეჭვს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია სასამართლოზე განხორციელებული ზეწოლის და მოსამართლის საქმიანობაში უხეში ჩარევის შედეგად.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2018 წლის 2 ოქტომბერს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით --- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 2018 წლის 3 ოქტომბერს სასამართლოდან გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2018 წლის 8 ოქტომბერს მოპასუხემ საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2018 წლის 2 ოქტომბრის სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე. 2018 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით -- -- დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა მის შესავსებად. 2018 წლის 15 ოქტომბერს მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 ოქტომბრის განჩინებაზე წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 8 ნოემბერს.

2018 წლის 2 ნოემბერს -- -- დირექტორმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლა. 2018 წლის 7 ნოემბერს -- -- შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში.

2018 წლის 8 ნოემბერს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის მიღებაზე. 2018 წლის 8 ნოემბრის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელე --- შეიცვალა სათანადო მოსარჩელით ---.

2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და გაცა სააღსრულებო ფურცელი. 2018 წლის 12 ნოემბერს გაიმართა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა. 2018 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნის მიღებამდე შეჩერდა აღნიშნული საქმის წარმოება.

2018 წლის 20 ნოემბერს -- -- დირექტორმა სასამართლოში წარადგინა საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებაზე. 2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 9 ნოემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო, საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს.

2018 წლის 6 დეკემბრის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება, -- -- სარჩელის გამო მოპასუხე -- -- მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე; სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2018 წლის 10 დეკემბერს. 2018 წლის 10 დეკემბრის განჩინებით დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნის მიღებამდე შეჩერდა აღნიშნული საქმის წარმოება.

2018 წლის 13 დეკემბერს შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

### **3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის დასკვნა:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული

კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის, სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან ყადაღადადებული ქონების გამოჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისთვის გადაცემის მომენტიდან. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე საჩივრის შეტანა შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირი, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო დაუყოვნებლივ გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, რომელიც ექვემდებარება საჩივრის ფორმით გასაჩივრებას. განჩინების გასაჩივრების ვადა 5 დღეა. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ განჩინებაზე საჩივრის შეტანა ავტომატურად შეაჩერებს ამ განჩინების აღსრულებას, რის შესახებაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება (განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე გამოტანილი განჩინების აღსრულების შეჩერების შესახებ), რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააღსრულებო ორგანოს. ეს იმას ნიშნავს, რომ განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ შეიძლება აღსრულდეს მის კანონიერ ძალაში შესვლის ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ.

ამდენად, მოსამართლე -- -- განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების

შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის დასკვნით დადგინდა, რომ -- --, -- -- და -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- --, -- -- და -- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**